Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

# ინფორმაცია პრესისთვის

# პენიტენციარულ სფეროში რეფორმების მხარდაჭერა (სადამსჯელო მიდგომებიდან რეაბილიტაციაზე მიმართულ მიდგომებზე გადასვლა) რეგიონალური პროექტი

## ვინ მიიღებს სარგებელს?

- სამართალდამრღვევები, რომლებიც სასჯელს იხდიან სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის და უკრაინის ციხეებში (სამიზნე ქვეყნები)
- სამიზნე ქვეყნების მოსახლეობა, საპატიმრო სასჯელების აღსრულებასა და პრობაციაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სამინისტროები

## პროექტის მიზნები

- ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრა და საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების დაკისრების ხელშეწყობა
- ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის მიზნით რეგიონალური თანამშრომლობისა და სტრატეგიული მიდგომების შემუშავების ხელშეწყობა
- ყოფილი პატიმრების მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევების შემცირება რაც ხელს შეუწყობს უფრო ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებას და კრიმინალის შემცირებას.

## როგორ განხორციელდება პროექტი?

- ბილატერალური თანამშრომლობა და გამოცდილების მულტილატერალური გაზიარება
- სამიზნე ქვეყნების შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებთან შეხვედრები და კომპარატიული ანალიზის ანგარიშების მომზადება ამ ქვეყნებში ციხეების გადატვირთულობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების საფუძველზე
- სამიზნე ქვეყნების შესაბამისი

## პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები

- ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრაზე მიმართული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებისა და CPT-ს ანგარიშების ამონარიდების თარგმნა 6 ენაზე, კერძოდ: სომხურ, ქართულ, აზერბაიჯანულ, რუმინულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე.
- 6 სამიზნე ქვეყნისთვის ევროპის საბჭოს ციხეების გადატვირთულობასთან ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილი დოკუმენტების ელექტრონული კრებულის მომზადება და მისი პენიტენციარული და პრობაციის სააგენტოებსა და ტრენინგ ცენტრებს შორის

Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

## ინფორმაცია პრესისთვის

## პენიტენციარულ სფეროში რეფორმების მხარდაჭერა (სადამსჯელო მიდგომებიდან რეაბილიტაციაზე მიმართულ მიდგომებზე გადასვლა)

## რეგიონალური პროექტი

სამინისტროების საშუალო მენეჯმენტისა და ხელმძღვანელობის დონის წარმომადგენლების მონაწილეობით თანამშრომლობის ქსელის ჩამოყალიბება ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით არსებული მოწინავე პრაქტიკის გაზიარების მიზნით

გავრცელება, რომლებიც პრობაციისა და პენიტენციარული სისტემის პერსონალის ტრენინგზე არიან პასუხისმგებელი

- სამიზნე ქვეყნებში ციხეების დაგატვირთულობის საკითხზე კვლევების ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება.
- კონფერენციების ჩატარება მაღალი დონის წარმომადგენლების მონაწილეობით მიწოდებული რეკომენდაციების განხილვისა და მათი განხორციელების გზების დასახვის მიზნით

### პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული დანახარჯები

- პროექტის საერთო ბიუჯეტი 110,000 ევროს შეადგენს.

### პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტის განხორციელების ვადებია: 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 28 თებერვლამდე
- პროექტის ოფიციალური წარდგენა 2015 წლის 3 აგვისტოს განხორციელდა.

### ვინ არის პასუხისმგებელი პროექტის განხორციელებაზე?

პროქტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ევროპის საბჭოს დირექტორატი ინფორმაციული საზოგადოებისა და დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე

### უფრო დეტალური ინფორმციისთვის მიმართეთ:


- გივი მიქანაძე, პროგრამის მენეჯერი givi.mikanadze@coe.int


**http://eap-pcf-eu.coe.int**

**Programmatic Cooperation Framework for Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus**

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

## ინფორმაცია პრესისთვის

# პენიტენციარულ სფეროში რეფორმების მხარდაჭერა (სადამსჯელო მიდგომებიდან რეაბილიტაციაზე მიმართულ მიდგომებზე გადასვლა) რეგიონალური პროექტი

*2014 წლის აპრილში ევროკავშირი და ევროპის საბჭო შეთანხმდნენ „პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს“ (PCF) ფარგლებში მიზნობრივი თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელებაზე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, კერძოდ კი სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდავეთის რესპუბლიკაში, უკრაინასა და ბელორუსიაში.*

*ზემოთხსენებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განვითარებას და ეროვნულ დონეზე რეფორმების გატარებას ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროში ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, გარდა ბელორუსიისა, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები არიან.*

*2015-2017 წლებისთვის გამოყოფილი PCF-ის საერთო ბიუჯეტი 33.8 მილიონ ევროს შეადგენს.*

**http://eap-pcf-eu.coe.int**